გორის მუნიციპალიტეტი
საკრებულო
განკარგულება № 196

2024 წლის 13 დეკემბერი

ქალაქი გორი

ფიზიკური პირისთვის, ელგუჯა მახარაშვილისთვის (პ/ნ 59001097562) აღნაგობის უფლების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

2020 წლის 14 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს (პ/ნ 59001097562) შორის გაფორმდა სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში მდებარე 3200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 404.42 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი N66.51.08.279.

ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილმა (პ/ნ 59001097562) 2024 წლის 25 სექტემბრის N19/2024269334-20 განცხადების საფუძველზე მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა, გაასხვისოს მისთვის გადაცემული აღნაგობის უფლება ფ.პ. მაგდანა ტატიშვილზე (პ/ნ 01024058441). ხოლო, ფ.პ. მაგდანა ტატიშვილმა (პ/ნ 01024058441) 2024 წლის 25 სექტემბრის N19/2024269334-20 განცხადებით, გამოთქვა სურვილი ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილისგან მიიღოს აღნაგობის უფლება, სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით ყველა ნაკისრი ვალდებულებებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ე მუხლის მიხედვით თუ მხარეთა შეთანხმებით აღნაგობის უფლების გასასხვისებლად ან გასაქირავებლად საჭიროა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა, მესაკუთრეს შეუძლია უარი თქვას ამ თანხმობის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, ვინაიდან მითითებული ხელშეკრულებით სავალდებულოა მესაკუთრის თანხმობა აღნაგობის უფლების გასასხვისებლად და აღნიშნულ თანხმობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს (პ/ნ 59001097562) მისცეს თანხმობა, გაასხვისოს 2020 წლის 14 ივლისის სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით

მინიჭებული აღნაგობის უფლება ფ.პ. მაგდანა ტატიშვილზე (პ/ნ 01024058441), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 235-ემუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს (პ/ნ 59001097562) მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფ.პ. ელგუჯა მახარაშვილს (პ/ნ 59001097562) შორის 2020 წლის 14 ივლისს გაფორმებული სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის უფლების (საგანი: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში მდებარე 3200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 404.42 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი N66.51.08.279) ფ.პ. მაგდანა ტატიშვილზე (პ/ნ 01024058441) გასხვისებასთან დაკავშირებით, ამავე სასყიდლიანი აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**